

# რუსეთის რბილი ძალის მოქმედება საქართველოში

ვერა ნატრიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გვალია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2020

## განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ვერა ნატრიაშვილი

ვ. ნატრიაშვილი

05.07.2020

## აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი შექმნილია საქართველოს მიმართ რუსეთის რბილი ძალის პოლიტიკის შესწავლის მიზნით. კვლევაში განხილულია რუსეთის რბილი ძალის სტრატეგია და ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც ხდება ქვეყანაში აღნიშნული ძალის მოქმედება.

სხვადასხვა კვლევების, სამეცნიერო და აკადემიური ნაშრომების, სტატიების ანალიზის საშუალებით ხდება იმ ძირითად ინსტრუმენტთა ანალიზი, რომელთა დახმარებითაც რუსეთი ახორციელებს რბილ ძალას საქართველოში და ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის მოსახლეობაზე. კვლევის ფარგლებში შევეცადე მომეხდინა როგორც რუსული რბილი ძალის საფრთხეების შეფასება და ანალიზი, ასევე აღმეწერა საქართველოში რუსეთის რბილი ძალის მოქმედების ბერკეტები, როგორცაა: ეკონომიკა, მასმედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და პოლიტიკური პარტიები. გაანალიზებულია თითოეული ინსტრუმენტის მოქმედების გზები, მათი გავლენა საზოგადოებაზე და მათი მოქმედების ეფექტურობა ქართულ რეალობაში. ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი. დამუშავებულია საკითხის ირგვლივ არსებული მეორადი წყაროები და ასევე გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები.

კვლევამ აჩვენა, რომ ამ ეტაპზე რუსეთის რბილი ძალის ეფექტები ლიმიტირებულია და მყისიერ საფრთხეს არ უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას, თუმცა, სამომავლოდ ამ ტენდენციის შენარჩუნების და გაფართოების შემთხვევაში შესაძლოა ეს რისკები გაიზარდოს. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია დროული და სწორი რეაგირება ამ საფრთხეზე.

**ძირითადი საძიებო სიტყვები: საქართველო, რუსეთი, რბილი ძალა**

## **Abstract**

The presented paper studies Russia's soft power policy towards Georgia. It discusses Russia's soft power strategy and the mechanisms by which it operates in the country.

With the analysis of various research papers, scientific and academic papers, and articles the main tools of Russia's soft power in Georgia are analyzed. Research evaluates the threats emanating from Russian soft power intervention in Georgian politics. The levers of Russia's soft power are discussed including economy, the media NGOs, the Georgian Orthodox Church and political parties. The ways of action in the Georgian reality are analyzed. The paper uses a qualitative method of research. Secondary sources around the issue have been processed and statistical data has also been analyzed.

The study showed that Russia's soft power effects are limited at this stage and do not pose an immediate threat to the country's national security, however, these risks may increase if this trend continues in the future. Therefore, it is important to respond in a timely and correct manner to this threat.

**Keywords: Georgia, Russia, soft power**